

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია

მეცნიერ-თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული სამტატო განაკვეთი;

თანამდებობრივი სარგო : 900 ლარი

მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები:

ფუნქციები:

- ნახევარგამტარულ p-n სტრუქტურების ელექტროფიზიკურ პარამეტრებზე სხვადასხვა სახის რადიაციის ზემოქმედების გავლენის კვლევა.
- მაღალტემპერატურული დიფუზიის მეთოდით p-n სტრუქტურების მიღება.
- ელექტრომაგნიტური და ოპტიკური კვლევები და ოპტიკური სისტემების კვლევა.
- ინფორმაციის მოპოვება თანამედროვე ნახევარგამტარული ხელსაწყოების ფუნქციონირებაზე მათი მონივრული გამოსხივების გავლენის შესახებ.
- ლაბორატორიის გეგმიური სამუშაო/სამუშაოების განხორციელებაში მონაწილეობა.
- მოცემულ დარგში პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა.
- შესრულებული სამუშაოს საანგარიშო დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობა.
- პასუხისმგებლობა მასზე დაკისრებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დროულ შესრულებაზე, ჩატარებული კვლევების ანგარიშის მომზადებასა და ლაბორატორიის ხელმძღვანელთან წარდგენაზე.
- ლაბორატორიაში არსებულ დანადგარ-მოწყობილობებზე ტექნოლოგიური პროცესების რეგლამენტის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

განათლება:

- უმაღლესი ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო ;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება :

- ლაბორატორიის საქმიანობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
- თანამედროვე ელექტროგამზომ ხელსაწყოებთან (სპექტრული ანალიზატორი, ოსცილოგრაფი და სხვ.) მუშაობის გამოცდილება.
- სხვადასხვა სახის რადიაციის წყაროებთან მუშაობის გამოცდილება.
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ნორმატიული აქტების ცოდნა.

კანონმდებლობის ცოდნა :

- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- „საქართველოს შრომის კოდექსის“ ზოგადი ცოდნა;
- სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდება.
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა.

- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.
- ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები.

ენების ცოდნა:

- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
- ერთერთი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერის ცოდნა:

- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, ინტერნეტი - კარგად ცოდნა.
- კომპიუტერული პროგრამის (LabVIEW, ORIGIN, MATLAB...) ცოდნა. სასურველია პროგრამირების თანამედროვე ენების ცოდნა.
- კვლევების შედეგების სისტემატიზაციის, ანალიზის, პუბლიკაციების, ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი.

კომპეტენციები :

- გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი. საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმი, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია :

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად.
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- ავტობიოგრაფია/CV.
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).
- შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

არსებობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ.
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.

2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანირებული სახით წარმოდგენილი.

3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსის მეორე ეტაპიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2022 წლის 01 დეკემბერს 10 საათიდან 18 საათამდე. (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 2022 წლის 2 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913